

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 31.10.1997წ. გვ. 55) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

2. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ ქვეპუნქტი:

„გ¹) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლები;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი